შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს რექტორის

ბრძანება № 01-01/02

თბილისი **“ 16 “ იანვარი 2024 წ.**

გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ ბრძანების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ჯიუ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, სამართლის და პოლიტიკის და ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023-2024 სასწავლო გაზაფხულის სემესტრში, შპს საქართველოს საერთშორისო უნივერსიტეტ ჯიუში ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის და პოლიტიკის სკოლის სტუდენტთა შიდა მობილობის განხორციელების მიზნით გამოცხადდეს ვაკანტური ადგილები შემდეგი რაოდენობითა და მიმართულებებით:

ა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი)	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	ტურიზმი	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	ჟურნალისტიკა	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
4	ფსიქოლოგია	5	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
5	სამართალი	5	სამართლის და პოლიტიკის

ბ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

	საგანმანათლებლო პროგრამა	ვაკანტური ადგილების რაოდენობა	სკოლა
1	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	3	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
2	მასობრივი კომუნიკაცია	3	ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
3	სისხლის სამართალი	3	სამართლის და პოლიტიკის
4	კერძო სამართალი	3	სამართლის და პოლიტიკის

2. განისაზღვროს 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

დოკუმენტების მიღება და სასწავლო კურსების თავსებადობის დადგენისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

- 12 თებერვლიდან - 16 თებერვლის ჩათვლით;

3. შიდა მობილობის წესით, ჩასარიცხი პირთა შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2024 წლის 01 მარტისა;

4. განისაზღვროს, შიდა მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული დეკანის ხელმოწერით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

5. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარების ადმინისტრირება დაევალოს ვიცე-რექტორს სასწავლო პროცესის მიმართულებით, კრედიტების აღიარების პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით;

6. შიდა მობილობის პროცესში, წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება დაევალოს უნივერისტეტის შესაბამის სკოლებს;

7. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, შიდა მობილობის შესახებ ინფორმაციის განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს;

8. უნივერსიტეტის კანცელარიას ეთხოვოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სკოლების დეკანებისა და სასწავლო პროცესის მიმართულებით ვიცე რექტორისთვის;

9. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შპს საქართველოს სერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

კანცლერი
ელისო ელისაშვილი